


# დიდაქე

თორმეტი მოციქულის მოძღვრება.

თორმეტი მოციქულის მიერ

წარმართთათვის ნაქადაგები მოძღვრება უფლისა





## შესავალი

ჩ იდაქე, თავისი დროის უნიკალური და ერთ-ერთი მეტად გავრცელებული ნაშრომი, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ახალი აღთქმის კანონიკურ წიგნთა შორის იყო აღნუსხული. დიდი ხნის მანძილზე არავის შეპპარვია ეჭვი მის სამოციქულო წარმომავლობაში. კლიმენტი ალექსანდრიელი ხალიჩებში იმოწმებს დიდაქედან ორ მონაკვეთს, როგორც ციტირებებს წმინდა წერილიდან (პბ თწ ყრაფწ).<sup>1</sup> მოგვიანებით, დიდაქეს ახსენებს ევსევი კესარიელიც და მას ახალი აღთქმის არაკანონიკურ წანერებს მიათვლის (3.25.4).<sup>2</sup> არაკანონიკურ-ად, მაგრამ ეკლესის მამათა მიერ „ახალმოქცეულთა და კეთილმსახურების სიტყვის შესწავლის მსურველთათვის“ სასარგებლო საკითხავად მიიჩნევს დიდაქეს ათანასე ალექსანდრიელი,<sup>3</sup> ისევე, როგორც რუფინუსი, რომელიც ამ თხზულებას,

1. კლიმენტი ალექსანდრიელთან დამოწმებულია დიდაქეს 2.1 და 3.5 მონაკვეთები (იხ. შესაბამისად, 3.36.5 და 1.100.4). ამ უკანასკნელში აღნიშნულია: „უსამართლობას სჩადის ის, ვინც ბარბაროსთაგან შეითვისებს რასმე, შემდეგ კა მას თავისიად გამოაცხადებს, რომ ამ გზით სახელი გაითქვას. ასეთი ვინმე ეცრუება ჭეშმარიტებას და იგი წერილის მიერ იწოდება „ქურდად“ (ეჭელიძე. ეკლესია – სძალი უფლისა. თბილისი: მეცნიერება, 1990, გვ. 55).

2. „ნაყალბევ თხზულებებს (ეს თის იზიდა) უნდა მიეკუთვნოს პავლეს საქმეთა წიგნი, წიგნი, სახელწოდებით მწყემსი, პეტრეს გამოცხადება, მათთან ერთად, ეპისტოლე, რომელსაც ბარნაბას მიაკუთვნებენ, ე.წ. მოციქულთა სწავლებაზი (თუ პიօსტოლა აი ლეგიტიმური და მართვის მიზანი ისტორია, 3.25.4).

3. „უმეტესისა უცოომელობისათვეს საჭიროდ ვსაჯე ამისიცა შეძინებაა, ვითარმედ არიან სხუანიცა წიგნი თვენიერ ამათსა არა განკანონებული

„რომელსაც უწოდებენ ორ გზას ანუ პეტრეს სასამართლოს“, თვლის თუმცა არაკანონიურ, მაგრამ საეკლესიო საკითხავად.<sup>1</sup> ასეთივე შეხედულება აქვს განსახილველ ნაშრომზე ნიკიფორე კონსტანტინოპოლელსაც.

საუკუნეების განმავლობაში დიდაქტეს ტექსტი დაკარგულად ითვლებოდა. 1873 წელს ეს თბზულება ნიკომედიის მიტრო-პოლიტმა, ფილოოთეოს ბრიენიოსმა, ხელახლა აღმოაჩინა კონსტანტინოპოლის მაცხოვრის წმინდა საფლავის ბიბლიოთეკაში, სადაც იგი ინახებოდა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში გადატანამდე (*Codex Hierosolymitanus gr. 54, 1056 წ., გვ. 76r-80v*) და მისი ტექსტი 1883 წელს გამოაქვეყნა.<sup>2</sup> იერუსალიმის ხელნაწერი, რომელშიც დიდაქტეს ტექსტი აღმოჩნდა, თარიღდება 1056 წლით და, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერის ტექსტებში გარკვეული შესწორებები აღინიშნება,<sup>3</sup> იგი ერთადერთ წუსხას წარმოადგენს, სადაც დიდაქტეს სრული

---

უკუკ, ხოლო დაწერილნივე მამათა მიერ საკითხავად მათთვის, რომელი აწლა მოუწდებოდინ და ენტებოს დამოწაფება კეთილმსახურებისა სიტყვასაც: სიბრძნე სოლომონისი და სიბრძნე სირაქისი და ესთერი და ივდითი და ტოვისი და სწავლად მოციქულთა წოდებული იგი და რომელსა-იგი პიმერი ჰრეკან (კაὶ Διδαχὴ καλουμένη τῶν ἀποστόλων καὶ ὁ Ποιμήν)“ (ნდ. ათანასე ალექსანდრიილის სადღესასწაულო ეპისტოლე, 39.75, არსენ იყალთოელის თარგმანი, გამოცემიდან: დიდი სჯულისკანონი. თბილისი: მეცნიერება, 1975, გვ. 471; ჭელიძე, 1990, გვ. 56).

1. „მეროე მხრივ, უნდა ვიცოდეთ, რომ არსებობენ სხვა წიგნებიც, რომელთაც ჩვენი მამები არა კანონიურს, მაგრამ საეკლესიოს კი უწოდებენ... ახალ აღთქმაში – პატარა წიგნი, რომელსაც ეწოდება მწყებესის (წიგნი) ანუ ჰერმესი, (და ნაშრომი), რომელსაც ეწოდება ორი გზა ანუ პეტრეს სასამართლო“ („Sciendum tamen est, quod et alii libri sunt, qui non canonici, sed Ecclesiastici a majoribus appellati sunt... In novo vero Testamento libellus, qui dicitur *Pastoris sive Hermes*: qui appellatur *Duae Viae, vel Judicium Petri*“, განმარტება მოციქულთა მრწამსზე, 38, PL 21, სვ. 374B).

2. Philotheos Bryennios. Διδαχὴ τῶν διδόμενα ἀποστόλων. Constantinople: S.I.Boutura, 1883.

3. J.B.Lightfoot. *The Apostolic Fathers. Part I: „Clement of Rome“*. London, 1890 (reimpr. Hildesheim, 1973), გვ. 121-129; O. von Gebhardt, A. von Harnack. *Patrum Apostolicorum Opera I, 2*. Leipzig, 1878; *La Doctrine des douze Apôtres (Didaché)*. Introduction, texte, traduction, notes, appendice et index par W. Rordorf, A. Tuilier. SC 248. Paris: Éditions du Cerf, 1978, გვ. 104 და შემდ.

სახით არის დაცული.<sup>1</sup> ბრიენიოსის გამოცემიდან მაღევე აღმოჩნდა დიდაქტეს განსხვავებული რედაქციის ეთიოპური,<sup>2</sup> კოპტური,<sup>3</sup> ლათინური,<sup>4</sup> და პაპირუსთა შორის დაცული (*Papyrus Oxyrhynchus 1782*, IV ს., შეიცავს 1.3-4 და 2.7-3.2) ვერსიებიც.<sup>5</sup> მათი გამოკვლევის შემდეგ მეცნიერები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ თბზულება წარმოადგენს სხვადასხვა დროს შედგენილ, სხვადასხვა თემთა საეკლესიო საჭიროების მიხედვით შესწორებულ და შემატებულ ტექსტს,<sup>6</sup> რომელსაც ორი სათაური<sup>7</sup> სწორედ ამ მიზეზის გამო დაერთვის.

1. ხელნაწერი შეიცავს 120 ფურცელს. მასში დაცულია წმინდა წერილის მოკლე შეჯამება, რომელიც მიეწერება წმ. იოანე ოქროპირს (1-38v), პარნაბას ეპისტოლე (39-51v), ნმ. კლიმენტი რომაელის ორი ეპისტოლე (51v-70r, 70r-76r), ბიბლიის წიგნთა ეპრაული სათაურები (76r), დიდაქტ (76r-80v), მარიამ კასტოლელის ეპისტოლე (81r-82r) და წმ. ეგნატი ანტიოქიელის მიმართ (81r-82r) და წმ. ეგნატი ანტიოქიელის ვრცელი რედაქციის 12 ეპისტოლე (82r-120r). ხელნაწერი დათარიღებულია 1056 წლის 11 ივნისით. მისი გადამწერია „ცოდვილი ლეონი, ნოტარიუსი“. იხ. *La Doctrine des Douze Apôtres*, 1978, გვ. 103.

2. დიდაქტეს ეთიოპური თარგმანი წარმოადგენს ამ თბზულების თავისუფლად ნათარგმნ თრ ფრაგმენტს (11.3-13.7, 8.1-2), ჩართულს მოციქულთა განჩინებების ეთიოპურ რედაქციაში. მისი გამოცემისთვის იხ. G. Horner. *The Statutes of the Apostles*. London, 1904, გვ. 193 და შემდ. (ეთიოპური, არაბული და საიდური ტექსტები ინგლისური თარგმანი); *La Doctrine des Douze Apôtres*, 1978, გვ. 114-115.

3. L.Th. Lefort. *Les Pères Apostoliques en copte*. Vol. 1. CSCO 135. Louvain, 1952, გვ. 32-34 (ტექსტი), CSCO 136. Louvain, 1952, გვ. 25-28 (თარგმანი); *La Doctrine des Douze Apôtres*, 1978, გვ. 112-114.

4. ლათინური ტექსტის გამოცემისათვის იხ. *La Doctrine des Douze Apôtres*, 1978, გვ. 207-210; Quasten, ტ. 1, გვ. 37-38.

5. პაპირუსის იყითხვისები მნიშვნელოვნად ახლოს დგას და ადასტურებს იერუსალიმური ხელნაწერის მონაცემებს. იხ. *La Doctrine des Douze Apôtres*, 1978, გვ. 111; ასევე, Clavis, ტ. 1, გვ. 225, N 1735, აქვე იხ. დიდაქტეს გამოცემათა შესახებაც.

6. ასე მაგალითად, მიჩნევა, რომ ერთ-ერთი რედაქტორის ჩანართებს წარმოადგენს ის მონაცემები, რომლებშიც ავტორი მხოლობითი რიცხვის მეორე პირს იყენებს (1.4-6, 6.2-3, 7.2-4, 13.3.5-7), იხ. *La Doctrine des Douze Apôtres*, 1978, გვ. 92.

7. ამაღლითად, მიჩნევა, რომ ერთ-ერთი რედაქტორის ჩანართებს შესახებ, გვ. 13-17). თბზულების მესამე სათაურს მიუთითებს რუფინუსი, რომელიც მას უწოდებს ორ გზას ანუ პეტრეს სასამართლოს (“*Duae Viae, vel Judicium Petri*”, განმარტება მოციქულთა მრნამსზე, 38, PL 21, სვ. 374B).

დიდაქეს შექმნის ადგილად, იმ საფუძველზე, რომ ტექსტს უფრო მეტად ალექსანდრიელი მწერლები იმონმებენ, სახელდება ეგვიპტე, <sup>1</sup> თუმცა მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი მის სირიულ წარმომავლობას ასაბუთებს.<sup>2</sup> თხზულებას ათარიღებენ | ს-ით,<sup>3</sup> | ს-ის 40-60-იანი წლებით, | ს-ის 60-80-იანი წლებით, I-II სს-ის მიჯნით, II ს-ის მეორე ნახევრით და ა.შ., სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეკლესიის ისტორიის იმ პერიოდით, რომელშიც საეკლესიო, მათ შორის, ზიარების წესები (თ. 9), გამოიჩინდა არქაული სიმარტივით, როდესაც ჯერ კიდევ იყვნენ მოხეტიალე მოციქულები, მოხეტიალე წინასწარმეტყველები და მოძღვრები (თ. 11), და როდესაც, მეორე მხრივ, არსებობდნენ მღვდელმთავრები (οἱ ἀρχιερεῖς, 13.3) – ეპისკოპოსები, და დიაკონები (ἐπισκόπους καὶ διακόνους, 15.1), რომელთაც ჰყავდათ საკუთარი მრევლი და ერთად ატარებდნენ ღვთისმსახურებას (λειτουრგიონτι... τὴν λειτουργίαν, 15.1).<sup>4</sup> აღნიშნულის გარდა,

1. იმაზე დაყრდნობით, რომ ტექსტები, რომლებშიც განსახილველი თხზულება არის დამოწმებული, ალექსანდრიული, კოპტური ან ეთიო-პიური წარმოშობისაა, დიდაქე ეგვიპტეში დაწერილად მიაჩნიათ შემდეგ მკლევარებს: A. Harnack. *Die Lehre der zwölf Apostel.* TU 2.1-2. Leipzig, 1884, გვ. 159 და შემდ.; R.A. Kraft. *The Apostolic Fathers. A new Translation and Commentary.* ტ. 3: „Barnabas and the Didache“. New York, 1965, გვ. 77; A.Vööbus. *Liturgical Traditions in the Didache.* Stockholm, 1968, გვ. 13 და შემდ.; იხ. *La Doctrine des Douze Apôtres*, 1978, გვ. 97.

2. დიდაქეს სირიულ წარმომაბას ემსრობია: J.P. Audet. *La Didachè. Instructions des Apôtres.* Paris, 1958, გვ. 206; S.Giet. *Lénigme de la „Didachè“.* Paris, 1970, გვ. 264; J.Hazelden-Welker. „An Argument from the Chinese for the Antiochen Origin of the Didache“. *Studia Patristica* 8. TU 93. Berlin, 1966, გვ. 44-50; R.Knopf. *Handbuch zum Neuen Testament, Ergänzungs-Band. Die Apostolischen Väter.* ტ. 1: „Die Lehre der zwölf Apostel, Die zwei Clemensbriefe“. Tübingen, 1920, გვ. 3. ამასთან, ეს უკანასკნელი მიიჩნევს, რომ ამას ამტკიცებს დიდაქეს 7.3 მონაკვეთი, რასაც ეთანხმება ტექსტის კრიტიკული გამოცემის ავტორულ და თავდაც ამატებს არგუმენტებს ამ მოსაზრების სასარგებლობად, იხ. *La Doctrine des Douze Apôtres*, 1978, გვ. 97-99.

3. ამ დათარიღებას ემხრობა ტექსტის კრიტიკული გამოცემის ავტორი, იხ. *La Doctrine des Douze Apôtres*, 1978, გვ. 96-97.

4. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არის ნათელი, ეს ეპისკოპოსები მართლაც საკუთრივ ეპისკოპოსები იყვნენ თუ მღვდლები (იხ. *Quasten*, ტ. 1, გვ. 33). საგულისხმოა ისიც, რომ ტექსტში არსად არის ნახენები პრეისტერის ‘ზუცესი’ (ამ ტერმინებთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. *La Doctrine des Douze Apôtres*, 1978, გვ. 73-78).

ტექსტის დათარიღებასთან დაკავშირებით გამოთქმული იყო უსაფუძვლო არგუმენტები თხზულების IV ს-ში შექმნისა და მისი მონტანისტური წარმომავლობის შესახებაც.

ტექსტის ავტორი უცნობია, თუმცა იგი, როგორც ჩანს, სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო, რაზეც მეტყველებს მის მიერ საღვთისმსახურო წესების ცოდნა და საკუთრივ ამ სახელმძღვანელოს საეკლესიო საჭიროებისათვის შედგენის ფაქტიც.

თხზულება საეკლესიო სახელმძღვანელოს, კატეხიზმოს ხასიათისაა და წარმოადგენს დარიგებათა კრებულს ახლადმოქცეული, ახლადმონათლული ქრისტიანებისთვის. მისი პირველი ნაწილი (თთ. 1-6), რომელიც ტექსტის ყველაზე ძველ მონაკვეთად მიჩნევა,<sup>1</sup> ეთმობა ზნეობრივ მითითებებს, ორი გზის, სიცოცხლისა და სიკვდილის გზების, სიმართლე-სიკეთისა და სიცრუე-ბოროტების გზების განხილვას, სადაც წესჩვეულებათა საკითხებთან დაკავშირებით შემწყნარებლური დამოკიდებულებაა გამოვლენილი (6.2-3);<sup>2</sup> მეორე ნაწილი (თთ. 7-10) მოიცავს ლიტურგიკას, საეკლესიო ცხოვრებასა და ღვთისმსახურების წესებს, კერძოდ, ნათლობას („ცოცხალ წყალში სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა“, 7.2; „ხოლო თუ არცერთი არ გაქვს, მაშინ სამგზის აპკურე წყალი თავზე სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა“, 7.3), ლოცვას, მარხვას, ზიარებას და ა.შ. ამ ნაწილში მაცხოვარი ნახსენებია სახელდებით (9.5) და მას მიემართება როგორც „უფალი“ (κύριος, 9.5), ასევე „ძე“ (παῖς, 9.2,3; 10.2,3). მესამე მონაკვეთი (თთ. 11-15) ეძღვნება კანონიკურ და საეკლესიო-დისციპლინარულ საკითხებს; მეოთხე, ესქატოლოგიური ნაწილი (თ. 16) კი წარმოადგენს თხზულების დასკვნას, ქრისტიანთა სულიერ შემზადებას მაცხოვრის მეორედ მოსვლისათვის. თითო-ეული ნაწილი სტრუქტურულად სხვაობს დანარჩენ ნაწილთაგან, ან იმ მიზეზით, რომ მათ სხვადასხვა ავტორი ჰყავდა, ან რადგანაც იგი, მკვლევართა ვარაუდით, წარმოადგენდა მოკლე სახელმძღვანელოს ახლადმოქცეულთათვის.<sup>3</sup> ამასთან, ზოგი მკვლევა-

1. *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 117.

2. *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 100.

3. Audet, 1958, გვ. 104-120; *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 19, 49-50, 92-96.

რი თვლის, რომ ეს უკანასკნელი ნაწილი 1-6 თავების დასკვნაა.<sup>1</sup> თხზულების სხვადასხვა ავტორთათვის მიკუთვნების მომხრეები თავიანთი მოსაზრების დამამტკიცებელ ერთ-ერთ საბუთად მი-იჩინევენ იმას, რომ რუფინუსი თავის ნაშრომებში განსახილველ ტექსტს მოიხსენიებს ერთგან როგორც ორ გზას,<sup>2</sup> მეორეგან, რო-გორც მოციქულთა მოძღვრებას.<sup>3</sup> ნიშანდობლივია ისიც, რომ ლა-თინური თარგმანით მოძნეულია თხზულება, რომელსაც ეწოდება მოციქულთა მოძღვრების შესახებ (*De Doctrina Apostolorum*). იგი შეიცავს მხოლოდ თთ. 1-6 და მეტად ახლოს დგას დიდაქეს თთ. 1-6-თან.<sup>4</sup>

საკუთრივ დიდაქეში აღსანიშნავია ადრექრისტიანული ხანის ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ე.წ. მეთევზუ-რებრი სისადავე და ქადაგება საკუთარი თავის ყოველგვა-რი მიწიერისაგან სრული გათავისუფლების შესახებ, ასევე ის ფაქტი, რომ, თუმცა კი ნახსენებია მამა, ძე და სულიწმინდა (7.2), ასევე ნათლობა და ზიარება (თთ. 7, 9, 10), მთლიან-ობაში, თხზულებაში დოგმატურ საკითხებს ნაკლები ყურად-ღება ეთმობა. ცალკე უნდა აღინიშნოს ზიარებაში მონაწილე-ობის ნების დართვა მხოლოდ იმ მონათლული ქრისტიანებ-ისთვის, რომელთაც სუფთა აქვთ სინდისი და შერიგებულნი არიან საკუთარ მტრებთან (4.14, 14.1-2). თხზულება იძლევა ადრექრისტიანული ხანის ლოცვის სამ ნიმუშს: ფიალის (9.2), პურისა და ეკლესიის შესახებ (9.3-4), და უფლის სამადლო-ბელს სამყაროს შექმნისათვის (10.1-6), რომლებიც ზიარებ-ის საკითხავის წინამორბედნი და, ამდენად, შეუფასებლად ძვირფასნი არიან.

1. H. Köster. *Synoptische Überlieferung bei den Apostolischen Vätern*. TU 65. Berlin, 1957, გვ. 160, 173, 190; Kraft, 1965, გვ. 12 და შემდ.; *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 81.

2. განმარტება მოციქულთა მრწამსზე, 38, PL 21, სვ. 374B.

3. „*Doctrina quae dicitur apostolorum*“. ამგვარად თარგმნა რუფინუსმა ევსევი კესარიელის ეკლესიის ისტორიის ლათინურ ენაზე გადმოღებისას ეს ნაწარმოები (ევსევესთან იგი ამგვარად უღერს: Τῶν ἀποστόλων αἱ λεγόμεναι Διδαχαί, 3.25.4); იხ. *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 109.

4. ამ ნაშრომის ტექსტი დაცულია ორ ხელნაწერში: Monacensis lat. 6264 (Frisingensis 64) (XI ს., 102v-103v) და Mellicensis 597 (XI ს., 115v). მისი გამოცემისათვის იხ. *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 203-210.

თავისი შინაარსითა და სტილით დიდაქე უახლოვდება ამავე პერიოდის სხვა ნაშრომებს, კერძოდ, ბარნაბას ეპისტოლებს,<sup>1</sup> მოციქულთა განჩინებებს<sup>2</sup> (*Constitutiones Apostolorum*) და ჰერმასის მწყემსს. დიდაქე გამოყენებულია წმ. ოუსტინე მარტვილის პირველ აპოლოგიაში,<sup>3</sup> ჰერმასის მწყემსში,<sup>4</sup> ფსევდო-ათანასე ალექსანდრიელის ნაშრომში მოძღვრების შეჯამება,<sup>5</sup> წმ. თეოფილე ანტიოქიელის ნაშრომში ავტოლიკესადმი,<sup>6</sup> თხზულებაში ნიკეის 318 მამის რწმენა,<sup>7</sup> შენუტის ცხოვრების არაბულ ვერსიაში,<sup>8</sup> და სხვა პატრისტიკულ შრომებსა და ადრეულ საეკლესიო თხზულებებში. იგი საფუძვლად დაედო მოციქულთა მოძღვრებას<sup>9</sup> (*Didascalia Apostolorum*, II-III სს.) და საფეხურთა წიგნს (III-IV სს.).

მთლიანობაში, განსახილველი თხზულება წარმოადგენს მოციქულებრივ მამათაგან მომდინარე, ადრექრისტიანულ წერილობით ძეგლთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიმუშს, ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ უძველეს კატეხიზმოს, რომელშიც მოცემულია უძვირფასესი ცნობები ადრექრისტიანულ თემთა და ზოგადად, ადრექრისტიანული ეკლესის ყოველდღიური

1. დიდაქეს თთ. 2-5 ზედმინევნით ემთხვევა ბარნაბას ეპისტოლებს თთ. 19-20, თუმცა დაუდგენელია, ბარნაბას ეპისტოლე ეყრდნობა დიდაქეს თუ პირიქით. დაწვრილებით იხ. *Épître de Barnabé. Introduction, traduction et notes par Pierre Prigent. Sources Chrétiennes 172. Texte Grec établi et présenté par Robert A. Kraft. Paris: Éditions du Cerf, 1971, გვ. 14-15.* შდრ. ასევე, R.H. Connolly. “The Didache in Relation to the Epistle of Barnabas”. *Journal of Theological Studies* 33 (1932): 237-253.

2. ასე მაგალითად, ამ თხზულების 7.1-32 წარმოადგენს დიდაქეს პარაფრაზს (იხ. *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 120 და შემდ.; Quasten, ტ.1, გვ. 37).

3. „შენ თაყვანს სცემ უფალს, შენს ღმერთს, რომელმაც შეგქმნა შენ“, წმ. ოუსტინე მარტვილი, პირველი აპოლოგია, 16; *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 124.

4. იხ. მწყემსი, 2.11 (შდრ. დიდაქე, 11), 2.6.1.2 (შდრ. დიდაქე, 1.1).

5. PG 28, სვ. 836A-845B.

6. 2.34.

7. PG 28, სვ. 1637A-1644B.

8. É. Amélineau. „Monuments pour servir à l'histoire de l'Égypte chrétienne aux Ve, Vie et VIIe siècles“, გამოცემაში: *Mémoires Publiéés par les Members de la Mission Archéologique Française du Caire*. Paris, 1895, გვ. 285-296.

9. R.H. Connolly. “The Use of the Didache in the Didascalia”. *Journal of Theological Studies* OS 24/94 (Jan. 1923), გვ. 147-157; იხ. *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 22-34.

საეკლესიო ცხოვრების, ლოცვის წესების, სარწმუნოებისა და ღვთისმსახურების შესახებ.<sup>1</sup> რორდორფი და ტუილიე, დიდაქტეს კრიტიკული გამოცემის ავტორები, მას იმდენად მნიშვნელოვან ნაშრომად მიიჩნევენ, რომ აყენებენ ახალი აღთქმისა და მოციქულებრივი მამების ნაწერთა შორის.<sup>2</sup>

დიდაქტეს ტექსტი მისი პირველი გამოცემის შემდეგ არაერთხელ იყო გამოქვეყნებული. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანად, ლაიტფუტის გამოცემის გარდა, ითვლება დიდაქტეს კრიტიკული გამოცემა: *La Doctrine des douze Apôtres (Didachè). Introduction, texte, traduction, notes, appendice et index par W. Rordorf, A. Tuiliier. Sources Chrétiennes 248.* Paris: Éditions du Cerf, 1978. ამის გამო, ლაიტფუტის გამოცემასთან ერთად, თარგმნისას ამ უკანასკნელსაც ვეყრდნობით.

ქართულ ენაზე დიდაქტეს ორი თარგმანი არსებობს. მათგან უახლესი ეკუთვნის ედიშერ ჭელიძეს.<sup>3</sup> რაც შეეხება ძველ თარგმანს, იგი გამოსცა წმ. გრიგოლ ფერაძემ<sup>4</sup> სიმონ ფეიქრიშვილის 1923 წელს გადაწერილი ასლის მიხედვით,<sup>5</sup> ა. ფონ ჰარ-

1. ედიშერ ჭელიძე დიდაქტეს წმინდა მამათა ხელით ჩაწერილ მოციქულთა მოძღვრებად თვლის და მიაჩნია, რომ დიდ სჯულის კანონში შეტანით მოხდა ამ ნაშრომის, როგორც მართებული კატეხიზმოს აღიარება და რჯულდებით განმტკიცება (ჭელიძე, 1990, გვ. 56-57).

2. *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 11.

3. ნიკოლოზ ახალციხელი ეპისკოპოსი. წესი ქრისტიანის ცხოვრებისა. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბილისი: კანდელი, 1998, გვ. 60-71.

4. G. Peradze. „Die Lehre der zwölf Apostel in der georgischen Überlieferung“. *Zeitschrift für die neutestamentliche Wissenschaft und die Kunde der älteren Kirche* 31/2 (1932): 111-116. მისი მოწოდებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ ციცი გულედანს და ნათია მიროტაძეს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს.

5. იქვე, გვ. 111, შენ. 3. ი. კვაჭაძის ცნობით, ფეიქრიშვილს ტექსტი გადაუწერა ხელნაწერიდან, რომელიც ერთ-ერთ კონსტანტინოპოლელ ბერძენს ჰქონია ხელთ და რომლის გაყიდვაზეც უარი უთქვამს. იგი მას გადაუწერა საშუალო ფორმატის სასატავ რვეულში ყვითელი ქმიური შელნით. ეს ასლი შემდგომ შეიძინა პარიზის კათოლიკური უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის სირიული ენის პროფესორმა, მ. ბრიერმა, თუმცა იგი არსად გამოუქვეყნებია (ი.კვაჭაძე, „შენიშვნები დიდაქტეს ქართული თარგმანის შესახებ“. ლიტერატურული ძეგანი 3 (1947): 375-377).

ნაკის მიერ 1884 წელს გამოქვეყნებული დიდაქეს ბერძნული ტექსტის<sup>1</sup> იკითხვისების სახით.<sup>2</sup>

როგორც წმ. გრიგოლ ფერაძე მიუთითებს, ეს ტექსტი მომ-დინარეობს კონსტანტინოპოლის XIX ს-ის პირველი ნახევრის ხელნაწერიდან, რომელიც დიდაქეს გარდა, შეიცავს ქართულ და სომხურ ენებზე დაწერილ სხვა თხზულებებსაც.<sup>3</sup> ტექსტის ხანმეტობასა და პაემეტობაზე დაყრდნობით წმ. გრიგოლ ფე-რაძე თარგმანს V-X სს-ს მიაკუთვნებს და მიუთითებს, რომ მასში საუკუნეთა მანძილზე არაერთი ჩასწორება შეუტანიათ.<sup>4</sup> ტექსტისათვის დართულ მინაწერში ნათქვამია, რომ იგი ბერ-ძნულიდან თარგმნა უცხოეთში მყოფმა იერემია ურპაელმა ანუ ედესელმა, ქართველმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, აღ-დგომასა და სულთმოფენობის პერიოდს შორის. გრიგოლ ფე-რაძის აზრით, მინაწერი წარმოადგენს გვიანდელ ინტერპოლა-ციას, თუმცა მისი ბირთვი შეიძლება იყოს ავთენტური, თავად იერემიას კი იგი უკავშირებს ეპისკოპოს იერემია იბერიელს და ამ ტექსტს ერთ-ერთ უძველეს ქართულ თარგმანად მიიჩნევს.<sup>5</sup> რაც შეეხება საკუთრივ ტექსტს, მის სათაურში აღნიშნულია, რომ იგი დაინტერა ახალი წელთაღრიცხვით 90 ან 100 წნ., მი-სი 1.3-2.1 მონაკვეთი გვიანდელ ჩანართს წარმოადგენს, 1.5-6 და 13.5-7 მონაკვეთები აკლია, ხოლო 13.4 მეტად განვრცობი-ლია.<sup>6</sup> მთლიანობაში კი, გრიგოლ ფერაძის მითითებით, ქართუ-ლი თარგმანი დიდაქეს ბერძნული ტექსტისაგან განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენს.<sup>7</sup>

წმ. გრიგოლ ფერაძის დასკვნებს არ ეთანხმება კორნელი

1. Adolf Harnack. *Die Lehre der Zwölf Apostel*. Leipzig, 1884.

2. წმ. გრიგოლ ფერაძის მიერ გამოქვეყნებული ტექსტის პირველი სტრი-ქონები შემდეგნაირად გამოიყურება: „1, 4 p. τις ad. Im Namen Christi οὐδὲ γὰρ δύνασαι] und du kannst auch nicht um des Glaubens willen dieses tun 1, 5-6 fehlen 2, 3 Reihenfolge wie im Griechischen, es fehlen nur οὐ μοιχεύσεις, οὐ πορνεύσεις 2, 3 fehlt οὐ κακολογίσεις 2, 7 οὖς δὲ .... ψυχήν σου] Alle diese aber sollst du lieben im Herrn mehr als deine Seele“ (Peradze, 1932, გვ. 115).

3. Peradze, 1932, გვ. 111-112.

4. Peradze, 1932, გვ. 112-113.

5. Peradze, 1932, გვ. 113, შენ. 5, გვ. 114.

6. Peradze, 1932, გვ. 114, 115.

7. Peradze, 1932, გვ. 111, შენ. 2.

კეკელიძე. იგი დაუსაბუთებლად თვლის მთარგმნელ იერემიას გაიგივებას V ს-ში მოღვაწე იერემიასთან, მით უფრო, რომ ამ უკანასკნელს ურჰაში არ უღვანია. საკუთრივ თარგმანს მკვლევარი არ მიიჩნევს ძველად, არამედ მასში არსებული ახალი ლექსიკური ერთეულებისა („საარსებო“, „თანამცხოვრები“, „პიროვერი“, „გარყვნილება“, „თვალთამთხელი“, „პატიება“ და სხვ.) და ხან-ჰაე-მეტობის კლასიკური ნორმებიდან ხშირი გადახვევის გამო, რაც „ხელოვნურად შეთხზულის თუ რომელი-ლაც დიალექტიკური მოვლენის ნიშნებს ატარებს“, თვლის, რომ დიდაქე ითარგმნა კონსტანტინოპოლში ან ათონის მთაზე უახლოეს ხანებში, ბრიენიოსის მიერ კონსტანტინოპოლში დიდაქეს ტექსტის გამოცემის შემდეგაც კი, ანუ XIX ს-ში.<sup>1</sup>

ფერაძის გამოცემასთან დაკავშირებით დამატებით ცნობებს იძლევა ი. კვაჭაძე, რომელიც ს. ფეიქრიშვილზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ ამ უკანასკნელს ეს ტექსტი გადაუწერია ვინ-მე კონსტანტინოპოლელი ბერძენის კუთვნილი ხელნაწერიდან, რომ „ხან“ და „ჰაე“ ასოები აქა-იქ თავად ჩაუმატებია, თუმცა მოკლებით ისინი არსად მოუკლია. გარდა ამისა, კეკელიძის მიერ მითითებულ გვიანდელ ლექსიკასთან დაკავშირებით, ი. კვაჭაძის ცნობით, ფეიქრიშვილი განმარტავდა, რომ ტექსტში მათ ადგილას ბერძნული ტერმინები ქართული ტრანსლიტერაციით იყო მოცემული და ისინი თავად გადმოაქართულა, რათა მკითხველისათვის გასაგები გაეხადა.<sup>2</sup> ნათელია, რომ დიდაქეს ძველი ქართული თარგმანი თავისითავად მეტად მნიშვნელოვანია, რომელი საუკუნისაც არ უნდა იყოს იგი, თუმცა მხოლოდ გრიგოლ ფერაძის იკითხვისებზე დაყრდნობით ტექსტზე მსჯელობა მეტად რთულია და მისი დათარიღების, სიძველისა და მნიშვნელობის საკვლევად საკუთრივ ხელნაწერის მოძიებაა აუცილებელი.

1. კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. 1. თბილისი: მეცნიერება, 1980, გვ. 560.

2. კვაჭაძე, 1946, გვ. 376-377.

# დიდაქე

## თავი I პირველი მცნება: ორი გზა

1. გზა ორია: ერთი – სიცოცხლისა და ერთიც – სიკვდილისა (იერ. 21.8; ოგავ. 12.28; შდრ. მათე, 7.13-14). სხვაობა დიდია ამ ორ გზას შორის. 2. სიცოცხლის გზა არის ასეთი: პირველ რიგში, შეიყვარო ღმერთი, შენი შემოქმედი (ზირ. 7.30; 2სჯ. 6.5), შემდეგ – მოყვასი შენი, როგორც თავი შენი, და ყველა-ფერ იმას, რაც არ გინდა, რომ შენ შეგემთხვევს, ნურც შენ შე-ამთხვევ სხვას (მათე, 22.37,39; ლუკა, 6.31; ლევ. 19.18). 3. ამ სიტყვების სწავლება ასეთია: დალოცეთ მაწყევარნი თქვენნი და ილოცეთ თქვენი მტრებისათვის, იმარხულეთ მათთვისაც, ვინც გდევნით თქვენ (მათე, 5.44; ლუკა, 6.27-28). რადგან რას მიითვლით მადლად, თუკი თქვენი მოყვარულნი გეყვარებათ? განა ამასვე არ აკეთებენ წარმართებიც? თქვენ კი გიყვარდეთ მოძულენი თქვენნი და მტერი არ გეყოლებათ<sup>1</sup> (მათე, 5.46,44; ლუკა, 6.27,32-33,35). 4. განერიდე ხორციელ და სხეულებრივ გულისთქმებს (1პეტრე, 2.11). თუკი ვინმე სილას გაგანნავს მარჯვენა ლოყაში, მიუშვირე მას მეორეც და სრულყოფილი იქნები!<sup>2</sup> თუკი ვინმე გაიძულებს გაიარო ერთი მილი,<sup>3</sup> გაიარე

1. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის მეორე ეპისტოლე, 13.4; ეპისტოლე დიოგნეტოსის მიმართ, 6.6; წმ. იუსტინე მარტვილი, პირველი აპოლოგია, 14.3; კლიმენტი ალექსანდრიელი, ხალიჩები, 2.102.4.

2. იხ. ასევე, 6.2.

3. ბერძნულ-რომაული სიგრძის ერთეული, 1.48 კმ.

ორი მასთან ერთად. თუკი ვინმე შენს მოსასხამს შეგეცილება, გაატანე მას ქიტონიც. თუკი ვინმე წაგართმევს შენ შენსას, ნუ მოითხოვ უკან, რადგან შენ ეს არ ხელგენიფება.<sup>1</sup> 5. ყველას, ვინც შენ რასმე გთხოვს, მიეცი და უკან ნულარ მოითხოვ (მათე, 5.39-42; ლუკა, 6.29-30), რადგან მამას სურს, ყველას უწყალობოს საკუთარ მადლთაგან.<sup>2</sup> ნეტარი ის არის, ვინც, თანახმად მცნებისა, გასცემს (საქმე, 20.35), რადგანაც იგი თავისუფალია დანაშაულისგან. ვაი მას, ვინც მიიღებს, რადგან თუ ვინმე ლებულობს მაშინ, როცა გაჭირვება ადგას, თავისუფალია დანაშაულისგან, ხოლო თუ არ ადგას გაჭირვება, მისაგებელი მიეგება, რატომ მიიღო და რისთვის.<sup>3</sup> პატიმრობაში აღმოჩენილი, გამოიცდება იმასთან დაკავშირებით, რაც ჩაიდინა, და ვერ გამოვა იქიდან, სანამ უკანასკნელ კოდრანტსაც<sup>4</sup> არ გადაიხდის (მათე, 5.26). 6. ამის შესახებ ასევე ნათქვამია: „დაუ, შენი მოწყალება გაიოფლოს შენს ხელებში, სანამ არ გეცოდინება, ვის აძლევ მას“ (ზირ. 12.1).<sup>5</sup>

## თავი II

### მეორე მცნება: ნუ ჩაიდენთ მძიმე შეცოდებებს

1. სწავლების მეორე მცნება: 2. ნუ მოკლავ, ნუ იმრუშებ,

1. იგულისხმება, რომ ქრისტიანმა ძალადობას სიყვარული უნდა დაუპირისპიროს, ამიტომაც არ უნდა მოითხოვოს უკან წართმეული. მსგავსი შინაარსის სტრიქონები დასტურდება წმ. ორინეოსთანაც (იხ. მწვალებლობათა წინააღმდეგ, 4.13.3).

2. पარ ყარ თელე ბრინდი ი პათირ ეკ თუ იძოვ ხარისმათა. ეს მონაკვეთი თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ჰერმასის მწყემსში დაცულ ამავე შინაარსის წინადადებას (პარ ყარ ი თებ ბრინდი ი პათირ ეკ თუ იძოვ ბარემატა, 2.2.4). მსგავსი სტრიქონი დაცულია ფილონ ალექსანდრიელთანაც, იხ. მისა წმინდა კანონთა იგავები, 3.78. ვარაუდობენ, რომ ეს გამონათქვამი ებრაულ ანდაზას წარმოადგენდა (*La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 146, შენ. 1).

3. შდრ. ჰერმასის მწყემსი, 2.2.5.

4. წვრილი ფულის ერთეული.

5. შდრ. 9.5. ამ მონაკვეთან დაკავშირებით იხ. P.W.Skehan. „Didache 1.6 and Sirach 12.1“. *Biblica* 44 (1963): 533-536; *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 147, შენ. 5.

ნუ გარყვნი ბავშვებს,<sup>1</sup> ნუ მიეცემი სიძვას, ნუ მოიპარავ, ნუ მიმართავ მოგვობას, ნუ მიმართავ მნამლველობას, ნუ მოკლავ ბავშვს მუცლის მოშლით და ნურც დაბადებულს გამოასაღმებ სიცოცხლეს,<sup>2</sup> ნუ გექნება გულისთქმა მოყვასის ქონებისა. 3. ნუ დაიფიცებ სიცრუუზე (მათე, 5.33), ნუ გასწევ ცრუმონმეობას,<sup>3</sup> ნუ დასწამებ ცილს,<sup>4</sup> ნუ იქნები გულღვარძლიანი<sup>5</sup> (გამოსლ. 20.13-17; 2სჯ. 5.17-21, 18.10; ზაქ. 7.10, 8.17; გალ. 5.20; გამოცხ. 9.21, 21.8, 22.15). 4. ნუ იქნები ორგული, ნურც ორპირი,<sup>6</sup> რადგან ორპირობა სიკვდილის მახეა<sup>7</sup> (ზირ. 5.9, 14; იგავ. 12.22, 21.6, 14.27; ფსალ. 17.5-6). 5. ნუ იქნება შენი სიტყვა ცრუ, ნურც ამაო, არამედ საქმით აღვსილი. 6. ნუ იქნები ანგარებიანი, ნურც მიმტაცებელი, ნურც თვალთმაქცი, ნურც უზნეო, ნურც ამპარტავანი (ზირ. 6.2; რომ. 1.30),<sup>8</sup> გულში ნუ განიზრახავ უკეთურ ზრახვას შენი მოყვასის წი-

1. იუ პაიმინდებული და მონაცემების შესახვათის შესახვათი: „thou shalt not corrupt boys“ (Lightfoot, 1907, გვ. 229). ასევე არის განმარტებული ეს სიტყვა ლაპბეს ლექსიკონშიც: Lampe, 1961, გვ. 997. უფრო ზოგადად კი იგულისხმება მამათმავლობა (შდრ. ლევ. 18.22, 20.13; რომ. 1.27; 1ტიმ. 1.10) და ამ პერძნულ სიტყვას დიდაქეს კრიტიკული ტექსტის გამომცემელი სწორედ ამგვარად თარგმნის: „tu éviteras la pédérastie“ (*La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 149). ასევე არის გადმოღებული იგივე მონაცემით ბარნაბას ეპისტოლეშიც: „Tu ne commettras ni prostitution... ni pédérastie“ (19.4, *Épître de Barnabé*, 1972, გვ. 199; შდრ. „thou shalt not corrupt boys“, Lightfoot, 1907, გვ. 286). დიდაქეს გამომცემელი მიიჩნევს, რომ პაიმინდებული ნარმალუნის ნეოლიტიური ხანის ტერმინს, პაიმერასტეას ანაცვლებს (*La Doctrine des douze Apôtres*, 1978, 149, შენ. 4). იხ. ასევე, წმ. იუსტინე მარტვილი, დიალოგი, 95.1 (პაიმინდებული); კლიმენტი ალექსანდრიელის პროტოტიტიკოსი, 108.5 (იუ პაიმინდებული), მისივე პედაგოგოსი, 2.89.1, 3.89.1 (იუ პაიმინდებული).

2. შდრ. ბარნაბას ეპისტოლე, 19.5.

3. შდრ. წმ. პოლიკარპე სმირნელის ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ, 2.2; ჰერმასის მწყემში, 8.5.

4. იუ კაკილიგრისეს. კაკილიგე ითარგმნება, ასევე, როგორც ‘ავსიტყვაობა’.

5. შდრ. ბარნაბას ეპისტოლე, 19.4, 2.8. იხ. ასევე, წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე, 2.5, 62.2.

6. შდრ. ბარნაბას ეპისტოლე, 19.7.

7. შდრ. ბარნაბას ეპისტოლე, 19.8.

8. შდრ. ბარნაბას ეპისტოლე, 19.3; წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე, 35.5.

ნააღმდეგ (ლევ. 19.17,18). 7. ნუ გექნება სიძულვილი ნურც ერთი ადამიანის მიმართ, არამედ ერთნი ამხილე, მეორეთათვის ილოცე (1იოანე, 5.16), სხვები კი გიყვარდეს შენს სულზე მეტად!<sup>1</sup>

### თავი III

#### როგორ არ უნდა მოიქცეს და როგორი უნდა იყოს ქრისტიანი

1. შვილო ჩემო, გაექცი ყოველგვარ უკეთურებას და ყველაფერს, რაც მისი მსგავსია. 2. ნუ იქნები მრისხანე, რადგან რისხვას ადამიანი მკვლელობამდე მიჰყავს, ნურც შურიანი, ნურც შუღლისმოყვარე, ნურც ფიცხი, რადგან ყოველივე ამისგან წარმოიშობიან მკვლელობები. 3. შვილო ჩემო, ნუ იქნები გულისთქმას აყოლილი, რამეთუ გულისთქმას ადამიანი სიძვამდე მიჰყავს, ნურც ბილწიტყვაობის მოყვარე, ნურც უხამსად მხედველი იქნები,<sup>2</sup> რადგან ყოველივე ამისაგან წარმოიშობიან მრუშობანი (მათე, 5.28). 4. შვილო ჩემო, ნუ იქნები ფრინველთმისანი<sup>3</sup> (ლევ. 19.26), რადგან ამას კერპ-თაყვანისმცემლობამდე მიჰყავს, ნურც შემლოცველი, ნურც გარსკვლავთმრიცხველი, ნურც განწმენდის მოქმედი მისანი<sup>4</sup>

1. შდრ. ბარნაბას ეპისტოლე, 19.5.

2. კარტ სიტყვასიტყვით ‘ქედმაღლურად მხედველი’. ეს სიტყვა ბიბლიაში არ დასტურდება. კრიტიკული გამოცემის ავტორები მას თარგმნიან, როგორც „უხამსად მხედველს“ (*'évite les propos obscènes et les regards indiscrets'*, *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 153), რადგან მიიჩნევენ, რომ იგი თავისი მნიშვნელობით უახლოვდება „თვალის დადგმას“ ვინმეზე, რისთვისაც იმოწმებენ დაბ. 39.7-ს, რომელიც ნათქვამია, რომ იოსებს თავისი ბატონის ცოლმა დაადგა თვალი (შდრ. ოპერატორი... თინა იმართოს) და 2პეტრე, 2.14-ს (“თვალები აქვთ სავსე მრუშობით და დაუცხრომელი ცოდვით”). ამ სიტყვისთვის მსგავს განმარტებას იძლევთ ლამპეს ლექსიკონიც: „implying immodest curiosity“ (Lampe, 1961, გვ. 1468).

3. საუბარია ავგურების, მისნების შესახებ, რომლებიც მკითხაობდნენ ფრინველთა ფრენის მიხედვით.

4. პერიათარია, სიტყვასიტყვით: ‘გარშემო განწმენდა’. ლევიტელთა (18.10) და ნეშტა წიგნებზე (2ნეშტ. 33.6) დაყრდნობით, მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ამ მონაცემთში იგულისხმება განწმენდა ცეცხლით (*La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 153, შენ. 7). კროქსის თანახმად, რომელიც ოსიას ნიგნს (5.4) იმოწმებს, ამ სიტყვაში წინადაცვეთა მოიაზრება; იხ. W.L.Knox.

(შდრ. 2სჯ. 18.10; 2ნეშტ. 33.6), ნურც მოისურვებ ამის ცქე-რას, რადგან ყოველივე ამისაგან კერპთაყვანისმცემლობა წარმოიშობა. 5. შვილო ჩემო, ნუ იქნები მატყუარა, რადგან ტყუილს ქურდობამდე მიჰყავს,<sup>1</sup> ნურც ვერცხლისმოყვარე, ნურც პატივმოყვარე, რადგან ამ ყველაფრიდან წარმოიშობიან ქურდობანი. 6. შვილო ჩემო, ნუ დაიწყებ დრტვინვას (ფილიპ. 2.14; 1პეტ. 4.9), რადგანაც ამას ადამიანი მკრეხელობამდე მიჰყავს, ნურც თვითკამაყოფილი, ნურც უკეთურების მოფიქრალი იქნები,<sup>2</sup> რადგან ამ ყველაფრიდან მკრეხელობა წარმოიშობა. 7. არამედ იყავი მშვიდი, რადგან ქვეყანას მშვიდი დაიმკვიდრებენ (ფსალ. 36.11; მათე, 5.5). 8. იყავი სულგრძელი, გულმონყალე და უბოროტო, წყნარი და კეთილი, და მუდამ გეშინოდეს სიტყვების, რომლებიც მოგისმენია (შდრ. ესააია, 66.2). 9. ნუ განადიდებ საკუთარ თავს და ნუ შეუშვებ შენს სულში თავხედობას.<sup>3</sup> ნუ შეუერთდება შენი სული მედიდურ ადამიანებს, არამედ იტრიალე სამართლიანთა და თავმდაბალთა შორის<sup>4</sup> (რომ. 12.16; შდრ. ლუკა, 1.52). 10. ყველაფერი, რაც შეგემთხვევა, მიიღე, როგორც სიკეთე, და იცოდე, რომ ღვთის გარეშე არაფერი ხდება<sup>5</sup> (შდრ. რომ. 8.28).

---

<sup>1</sup> „Περικαθαίρων“ (*Didache*, 3:4)". *Journal of Theological Studies* 40 (1938-1939), გვ. 146-149; *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 153, შენ. 7.

<sup>2</sup> 1. კლიმენტი ალექსანდრიილი იმონებს ამ მონაკვეთს, როგორც ციტირებას წმინდა წერილიდან (ტპ ორ გრაფის, ხალიჩები, 1.20.100.4). შდრ. ასევე, ჰერმასის მწყემსი, 2.3.2.

<sup>3</sup> 2. გამოყენება სიტყვისა პიორიზოუ დასტურდება მხოლოდ ამ მონაკვეთში, რომელსაც შემდევ იყენებს თხზულება მოციქულთა განჩინებები (*Constitutiones Apostolorum*, 7.7.2); იხ. Lampe, 1961, გვ. 1121; ასევე, *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 155, შენ. 5.

<sup>4</sup> 3. სიტყვასიტყვით: ნუ მისცემ შენს სულს თავხედობას.

<sup>5</sup> 4. შდრ. ასევე, წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე, 59.3.

<sup>5</sup> 5. ამ წინადადებას ორიგენე იმონებს, როგორც ციტატას წმინდა წერილიდან: „გვასწავლის ჩვენ საღმრთო წერილი“ (“scriptura divina”, იხ. პირველსაწყისთა შესახებ, 3.2.7; *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 157).

## თავი IV

### ზეობრივი და სხვა დარიგებანი

1. შვილო ჩემო, ის, ვინც შენ ღვთის სიტყვა გაუწყა, გახსოვ-დეს ღამით და დღისით<sup>1</sup> (ებრ. 13.7; შდრ. ფსალ. 15.11; საქმე, 2.28), პატივი მიაგე მას, როგორც უფალს<sup>2</sup> (შდრ. ზირ. 7.29-31), რადგან სადაც (უფლის) მეუფებაა<sup>3</sup> (ეფეს. 1.21; კოლ. 1.16; 2პეტრ, 2.10; ოუდა, 1.8) ნაქადაგები, უფალიც იქ არის (შდრ. მათე, 18.20). 2. ეძიე, ყოველდღე იხილო წმინდანთა სახეები, რათა დაეყრდნო მათ სიტყვებს (ზირ. 6.34-36). 3. ნუ გამოიწვევ განხეთქილებას, არამედ მშვიდობა მიეცი მოწინააღმდეგებს;<sup>4</sup> განსაჯე სამართლიანად<sup>5</sup> (2სჯ. 1.16; ზირ. 4.9), ნუ შეხედავ სახეს კაცისა, როდესაც უნდა ამხილო გარდაცდომაში.<sup>6</sup> 4. ნუ დაეჭვდები, მოხდება ეს თუ არა<sup>7</sup> (შდრ. ზირ. 7.10). 5. ნუ გექ-ნება ხელები გაშლილი მისაღებად, გასაცემად კი მომუჭული (ზირ. 4.31; 2სჯ. 15.7). 6. თუკი გექნება რაიმე, შენი ხელე-ბით (მომუჭაკებული), გაეცი გამოსასყიდად შენი ცოდვებისა. 7. ნუ შეყოყმანდები გაცემისას,<sup>8</sup> ნურც იბუზლუნებ (1პეტრ, 4.9) როდესაც გასცემ, არამედ იცოდე, ვინ არის ის, ვინც კე-თილად მიაგებს საზღაურს (იგავ. 19.17). 8. ნუ გააბრუნებ გა-ჭირებულს, გაუზიარე ყველაფერი შენს ძმას და ნუ იტყვი: ეს ჩემია<sup>9</sup> (საქმე, 2.44, 4.32; ზირ. 4.5), რადგან თუკი მოზიარენი

---

1. გამოთქმა „ღამით და დღისით“ სემიტური ფორმულაა და იგი და-სტურდება როგორც ებრაულ, ისე სირიულ ენებში. შდრ. წმ. ეგნატი ან-ტიოქიელი, ეპისტოლე რომაელთა მიმართ, 5.1; წმ. პოლიკარპე სმირნე-ლის მარტივილობა, 5.1.

2. შდრ. დიდაქტ, 11.2.
3. კურიტეს, სიტყვასიტყვით: ‘უფლობა’ (შდრ. ესაია, 9.5), ‘მთავრობა’, ‘გამგებლობა’. შდრ. ჰერმასის მწყემსი, 3.5.6.1.
4. შდრ. ბარნაბას ეპისტოლე, 19.12.
5. შდრ. ბარნაბას ეპისტოლე, 19.11; წმ. პოლიკარპე სმირნელის ეპის-ტოლე ფილიბელთა მიმართ, 6.1.
6. სხვაგვარად: ნუ იქნები მიკერძობებული დანაშაულთა მხილებისას. შდრ. ბარნაბას ეპისტოლე, 19.4.
7. შდრ. ბარნაბას ეპისტოლე, 19.5; ჰერმასის მწყემსი, 1.3.4.3; წმ. კლი-მენტი რომაელის მეორე ეპისტოლე, 11.2; წმ. კლიმენტი რომაელის პირ-ველი ეპისტოლე, 23.3.
8. შდრ. ჰერმასის მწყემსი, 2.2.4.
9. ოსკ ტრენი ტმია ენია, სიტყვასიტყვით: ნუ იტყვი, რომ ეს საკუთარია.

ხართ უკვდავში, რამდენად უფრო მეტად ხართ მოზიარენი იმაში, რაც კვდომადია? (რომ. 15.27). 9. ნუ აიღებ შენს ხელს შენი ძის ან შენი ასულისაგან, არამედ ყმაწვილობიდანვე ასწავლე ღვთის მოშიშება<sup>1</sup> (ფსალ. 33.12; ეფეს. 6.4). 10. ნუ უბრძანებ შენი გულისწყრომისას შენს მონას ან მხევალს, რომელნიც იმავე ღმერთზე ამყარებენ იმედებს, თორემ აღარ ექნებათ შიში ღვთისა, რომელიც ორივე თქვენგანის ღმერთია, რადგან იგი არ მოსულა გარეგნობის მიხედვით მოსაწოდებელად, არამედ მათთან მოვიდა, ვინც სულინმინდამ მოამზადა. 11. თქვენ კი, მონებო, დაემორჩილეთ თქვენს ბატონებს, როგორც ღვთის სახეს,<sup>2</sup> რიდითა და მოშიშებით<sup>3</sup> (ეფეს. 6.4-9; კოლ. 3.22-24). 12. მოიძულე ყოველგვარი თვალთმაქცობა და ყველაფერი, რაც არ მოსწონს უფალს (სიბრძ. 9.10). 13. ნუ მიატოვებ უფლის მცნებებს, არამედ დაიცავი, რაც მიგილია, ნურც მიუმატებ, ნურც მოაკლებ (2სჯ. 4.2; გამოცხ. 22.18-19; შდრ. ფსალ. 118.87). 14. ეკლესიაში აღიარე შენი გარდაცდომანი და ნუ შეუდგები შენს ლოცვას უკეთური სინდისით<sup>4</sup> (მათე, 5.23-24; ებრ. 10.22). ეს არის სიცოცხლის გზა.

## თავი V სიკვდილის გზა

1. ხოლო სიკვდილის გზა ასეთია: უბირველეს ყოვლისა, ის უკეთურია და სავსეა წყევლით: მკვლელობანი, მრუშობანი, გულისთქმანი, სიძვანი, ქურდობანი, კერპთაყვანისმცემლობანი, მოგვობანი, მნამლველობანი (2სჯ. 18.10),<sup>5</sup> მიტაცებანი, ცრუმოწმეობანი, თვალთმაქცობანი, ორგულობა,<sup>6</sup> მზაკვრო-

1. იხ. წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე, 21.6,8; წმ. პოლიკარპე სმირნელის ეპისტოლე ფილიბელთა მიმართ, 4.2.

2. ას თუმც მთებ.

3. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ, 4.3.

4. შდრ. 14.1-2. იხ. ასევე, ბარნაბას ეპისტოლე, 19.12.

5. შდრ. 2.2.

6. სიტყვა ბιპლიკარბია დასტურდება მხოლოდ ამ მონაკვეთში, ბარნაბას ეპისტოლესა (20.1) და მოციქულთა განჩინებებში (7.18.1, მრავლობითი რიცხვით); *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 167, შენ. 5. იხ. ასევე, Lampe, 1961, გვ. 374.

ბა, ქედმაღლობა, ბოროტება, თვითკმაყოფილება, ანგარება, ბილნისიტყვაობა, შური, თავხედობა, მედიდურობა, მზვაობრობა (იაკ. 4.16; 1იოანე, 2.16; რომ. 1.29-32). 2. (ამ გზას ადგანან) კეთილთა მდევნელები, ჭეშმარიტების მოძულებები, სიცრუის მოყვარულნი, ვინც არ სცნობს მისაგებელს სიმართლისა, ვინც არ ერთგულობს სიკეთეს (რომ. 12.9), არც სამართლიან სასამართლოს, ვინც მღვიძარებს არა სიკეთის, არამედ უკეთურობის გამო, ვისგანაც შორს არის სახიერება და მოთმინება, ვისაც უყვარს ყოველივე ამაო, ვინც დასდევს ნაცვალგებას<sup>1</sup> (ლუკა, 14.12; რომ. 11.9), ვინც არ გაიკითხავს ლარიბს, ვინც დაჩაგრულს არ გამოესარჩლება (საქმე, 7.24), ვინც არ იცის თავისი შემოქმედი, შვილების მკვლელები, ღვთის ქმნილების განმხრწნელნი,<sup>2</sup> გაჭირვებულთათვის ზურგის შემაქცევარნი, შევიწროებულთა მჩაგვრელნი, მდიდართა ქომაგნი, ლარიბთა მიმართ უკანონობის ჩამდენი მოსამართლები, ყოვლადცოდვილნი.<sup>3</sup> განერიდეთ, შვილებო, ყოველივე ამას!

## თავი VI

### ცრუ მოძღვართა და კერპებისათვის შენირული საკვების ნინააღმდეგ

1. გაფრთხილდი, რომ არავინ აგაცდინოს სწავლების ამ გზიდან, რადგანაც ასეთი ადამიანი შენ ღვთის გარეშე გასწავლის.<sup>4</sup> 2. ვინაიდან, თუკი შენ შესძლებ, იტვირთო უფლის სრული უღელი,<sup>5</sup> სრულყოფილი იქნები<sup>6</sup> (შდრ. მათე, 11.29-30), ხოლო თუ შენ ეს არ შეგიძლია, ის გააკეთე, რაც შეგიძლია. 3. რაც შეეხება საკვებს, ის მიიტანე, რაც ხელგენიფება, მაგრამ

1. ဈუთაპიტიმა, სხვაგვარად: გასამრჯელო.

2. იგულისხმება, მუკლის მოშლით.

3. სიტყვა პათმამარტეთი დასტურდება მხოლოდ ამ მონაკვეთში, ბარნაბას ეპისტოლესა (20.2) და მოციქულთა განჩინებებში (7.18.2): *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 168, შენ. 1. იბ. ასევე, *Lampe*, 1961, გვ. 1003.

4. შდრ. 11.2.

5. შდრ. წმ. იუსტინე მარტივილი, დიალოგი, 53.1.

6. იბ. დიდაქტი, 1.4.

კერპისათვის შენირული ზვარაკისაგან კი თავი განსაკუთრებით შეიკავე, რადგან ეს მკვდარი ომერთების თაყვანისცემას წარმოადგენს<sup>1</sup> (საქმე, 15.29; სიბრძ. 13.10).

## თავი VII ნათლობის შესახებ

1. რაც შეეხება ნათლობას, მონათლეთ ასე: მას შემდეგ, რაც ყოველივე ზემოთქმულს წინასწარ იტყვით,<sup>2</sup> მონათლეთ ცოცხალ წყალში<sup>3</sup> სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა (მათე, 28.19). 2. ხოლო თუ ცოცხალი წყალი არა გაქვს, სხვა წყალში მონათლე, თუ ცივში არ შეგიძლია, თბილ-ში მონათლე. 3. ხოლო თუ არცერთი არ გაქვს, მაშინ სამგზის დაასხი წყალი თავზე, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. 4. ნათლობის წინ დაე, იმარხულოს მომავალმა ნათლიამაც და ნათლულმაც, და სხვებმაც, ვისაც ეს შეუძლია, მოსანათლს კი უბრძანე, იმარხულოს ნათლობამდე ერთი ან ორი დღის განმავლობაში.<sup>4</sup>

## თავი VIII მარხვა და უფლის სადიდებელი ლოცვა

1. ნუ დაემთხვევა ოქვენი მარხვა თვალმაქცებისას.<sup>5</sup> ისინი მარხულობენ კვირის მეორე და მეხუთე დღეს, თქვენ კი იმარხულეთ მეოთხე და მეექვსე დღე.<sup>6</sup> 2. და ნუ იღოცებთ როგორც

1. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის მეორე ეპისტოლე, 3.1; კლიმენტი ალექსანდრიელი, ხალიჩები, 6.40.2.

2. მიწნეულია, რომ სიტყვები თანთა პარე პროეპონტი, ინტერპოლატორს ეკუთვნის (La Doctrine des douze Apôtres, 1978, გვ. 170, შენ. 3).

3. შბარ ცალ (იოანე, 4.10-11; შდრ. შბარ ცალი, გამოცხ. 22.17). იგულისხმება გამდინარე წყალი. იგი ნახსენებია ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლებიც რომაელთა მიმართ (შბარ ბე ცალ, 7.2).

4. შდრ. წმ. იუსტინე მარტივილი, პირველი აპოლოგია, 61.2.

5. მკვლევართა ვარაუდით, აქ იგულისხმებიან ებრაელები, შესაძლოა, ფარისევლები, ასევე ისინიც, ვინც ქრისტიანებს იუდეველთა მსგავსად ურჩევ-და მარხვას და ლოცვას. იხ. La Doctrine des douze Apôtres, 1978, გვ. 36-37.

6. ძველად, კვირის დღეების ათვლა იწყებოდა კვირადღიდან. შესაბამი-

თვალთმაქცნი (შდრ. მათე, 6.16), არამედ ილოცეთ ისე, როგორც უფალმა ბრძანა თავის სახარებაში:

“მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა<sup>1</sup> შინა! წმინდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევა შენი; იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა; პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ<sup>2</sup> ჩვენ თანანადებნი<sup>3</sup> ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, რამეთუ შენი არს ძალი და დიდება უკუნითი უკუნისამდე” (მათე, 6.9-13; ლუკა, 11.2-4).

3. ილოცეთ ასე სამგზის დღეში.

## თავი IX ზიარების შესახებ

1. რაც შეეხება ზიარებას, ასე აზიარეთ. 2. თავდაპირველად ფიალის შესახებ:

“გმადლობთ შენ, მამაო ჩვენო, წმინდა ვენახისათვის დავითისა, მსახურისა შენისა, რომელიც განგვიცხადე იესოს მიერ, ძისა შენისა. დიდება შენდა უკუნისამდე!”

3. პურის ნატეხისათვის<sup>4</sup> კი:

“გმადლობთ შენ, მამაო ჩვენო, სიცოცხლისა და ცოდნისათვის, რომელიც განგვიცხადე<sup>5</sup> იესოს მიერ, ძისა<sup>6</sup> შენისა. დიდება შენდა უკუნისამდე! 4. როგორც ეს პურის ნატეხი იყო გაფანტული ბორცვებზე და ერთად შეკრებილი ერთი გახდა, დაე, შენი ეკლესიაც დედამინის კოდეთაგან შეიკრიბოს შენს სამე-

---

სად, კვირის მეორე და მესუთე დღე ორშაბათი და ხუთშაბათია, მეოთხე და მეექსე კი ოთხშაბათი და პარასკევი. შდრ. ასევე, *La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 37.

1. ბერძნულ დედანში ეს სიტყვა მხოლობითი რიცხვით არის მოცემული (ეν οὐρανῷ). შდრ. ეν τοῖς οὐρανοῖς (მათე, 6.9).

2. ဈჭიეμεν (შდრ. ဈჭიκაμεν, მათე, 6.12).

3. ტექსტში ცოდვა მხოლობითი რიცხვით არის მოცემული (τὴν ὄφειλήν. შდრ. τὰ ὄφειλήματα, მათე, 6.12; τὰς ἀμαρτίας, ლუკა, 11.4).

4. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, ეპისტოლე ეფესელთა მიმართ, 20.2.

5. შდრ. ბარნაბას ეპისტოლე, 1.7, 5.3.

6. τοῦ παιδός.

უფოში<sup>1</sup> (1კორ. 10.17), რამეთუ შენი არს დიდება და ძალი იესო ქრისტეს მიერ უკუნისამდე!“

5. და ნურავინ შეჭამს და ნურც დალევს თქვენი ზიარებიდან, არამედ მხოლოდ იმ ადამიანებმა, ვინც უფლის სახელით არის მონათლული. ვინაიდან ამის შესახებაც თქვა უფალმა:<sup>2</sup> „ნუ მისცემთ სიწმინდეს ძალებს!“ (მათე, 7.6).

## თავი X ლოცვა ზიარების შემდეგ

1. ზიარებით აღვსების შემდეგ ამგვარად აღავლინეთ სამადლობელი:

2. „გმადლობთ შენ, წმინდაო მამაო, სახელისათვის შენისა წმინდისა, რომელიც დააკარვე<sup>3</sup> ჩვენს გულებში, და ცოდნისათვის, და რწმენისათვის, და უკვდავებისათვის, რომელიც განგვიცხადე იესოს მიერ, ძისა შენისა.<sup>4</sup> დიდება შენდა უკუნისამდე! 3. შენ, მეუფეო ყოვლისმცყრობელო, შექმენი ყველაფერი შენი სახელისათვის<sup>5</sup> (სიბრძ. 1.14; ზირ. 18.1; გამოცხ. 4.11), უბოძე სახმევად ადამიანებს საკვები და სასმელი, შენთვის სამადლობელის აღსავლენად, ჩვენ კი მოგვმადლე სულიერი საკვები და სასმელი, და საუკუნო ცხოვრება, შენი ძის<sup>6</sup> (იესოს) მიერ. 4. ყველაფრისათვის გრძადლობთ შენ, რადგან ყოვლისშემძლე<sup>7</sup> ხარ. დიდება შენდა უკუნისამდე! 5. მოიხსენე, უფალო, შენი ეკლესია, დაიხსენი იგი ყოველგვარი ბოროტებისაგან და სრულ-ქმენი იგი შენს სიყვარულში<sup>8</sup> (1იოანე, 4.18, 2.5), ოთხთავ ქართაგაზე<sup>9</sup> შეკრიბე იგი (მა-

1. τὴν βασιλείαν.

2. αὕτη „უფალი“ (Κύριος) მიემართება მაცხოვარს.

3. κατεσκήψασα. შდრ. პარნაბას ეპისტოლე, 16.6-10.

4. τοῦ παιδός σου. შდრ. 9.2.

5. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე, 59.3; პერმასის მწყემსი, 1.1.1.6, 1.2.4.1.

6. τοῦ παιδός σου. შდრ. 9.2.

7. δυνατός.

8. შდრ. 16.2. იხ. ასევე წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე, 50.3.

9. იგულისხმება: ქვეყნიერების ოთხივე მხარიდან.

თე, 24.31), განწმედილი შენს საუფლოში,<sup>1</sup> რომელიც განუმზადე მას, რადგან შენი არს ძალი და დიდება უკუნისამდე. 6. მოვედინ მაღლი და წარვედინ საწუთო<sup>2</sup> ესე. ოსანა ღმერთსა დავითისასა! (შდრ. მათე, 21.9,15). თუ ვინმე წმინდაა, მოვიდეს, თუ ვინმე არ არის წმინდა, მოინანიოს, მარანათა<sup>3</sup> (კორ. 16.22). ამინ“.

7. წინასწარმეტყველებს კი ნება მიეცით, აღავლინონ იმდენი სამადლობელი, რამდენიც სურთ.

## თავი XI

### მოძლვართა, მოციქულთა და წინასწარმეტყველთა შესახებ

1. თუ ვინმე მოვა და შეგასწავლით ყოველივე ზემოთქმულს, მიიღეთ იგი. 2. თუ თავად მოძლვარი, შეცდომილი, წარსაზყმე-დელად სხვა მოძლვრების სწავლებას დაგიწყებთ (შდრ. 2იოანე, 1.10; გამოცხ. 2.15,20), ნუ შეისმენთ მისას,<sup>4</sup> ხოლო თუ სი-მართლის განმრავლებას და უფლის შემეცნებას შეგასწავლით, მიიღეთ იგი, როგორც უფალი<sup>5</sup> (შდრ. მათე, 10.40). 3. მოციქუ-ლებთან და წინასწარმეტყველებთან დაკავშირებით კი, სახა-რების მოძლვრების მიხედვით, ასე მოიქცით: 4. ყოველი მო-ციქული, რომელიც მოვა თქვენთან, მიღებული უნდა იქნას, როგორც უფალი. 5. მაგრამ ის არ უნდა დარჩეს, თუ არა მხო-ლოდ ერთი დღით, ხოლო თუკი ამის აუცილებლობა შეიქმნება, კიდევ ერთ დღეს, მაგრამ თუ იგი სამ დღეს დაჰყოფს, მაშინ ის ცრუ წინასწარმეტყველია. 6. წასვლისას მოციქულმა არაფერი უნდა მიიღოს, გარდა პურისა, რომელიც საკმარისი იქნება ღა-მის გასათვე ადგილამდე მისაღწევად, ხოლო თუ იგი ვერცხლს მოითხოვს, მაშინ ის ცრუ წინასწარმეტყველია.<sup>6</sup> 7. წინასწარ-

1. შდრ. 9.4.

2. ბ კისმია.

3. მარანათა – მარან ამა (არამეულად: „უფალი მოვიდა“) // მარანა თა (“უფალო, მოდი”) (რედაქტორის შენიშვნა).

4. შდრ. 6.1.

5. შდრ. 11.4, 4.1, 15.2. იხ. ასევე, წმ. ეგნატი ანტიოქიელი, ეპისტოლე ეფესელთა მიმართ, 6.1.

6. რაც შეეხება ჭეშმარიტი და ცრუ წინასწარმეტყველის განსხვავებას,

მეტყველებს, რომლებიც სულიერი შთაგონებით<sup>1</sup> ლაპარაკობენ, ნუ გამოსცდით, ნურც განსჯით, რადგან ყველა ცოდვა მიეტევება ადამიანს, ეს ცოდვა კი არ მიეტევება (მათე, 12.31; ლუკა, 12.10). 8. ყველა, ვინც სულიერი შთაგონებით<sup>2</sup> ლაპარაკობს, არ არის წინასწარმეტყველი, წინასწარმეტყველი მხოლოდ ის არის, ვინც უფლის წესებს იცავს. შესაბამისად, ცრუ და ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი გამოიცნობა ცხოვრების წესთაგან<sup>3</sup> (მათე, 7.15-23). 9. არცერთი წინასწარმეტყველი, რომელიც სულიერი შთაგონებით<sup>4</sup> განაწესებს ტრაპეზს,<sup>5</sup> არ ღებულობს საკვებს მისგან,<sup>6</sup> თუ ის ცრუ წინასწარმეტყველი არ არის. 10. ყოველი წინასწარმეტყველი, რომელიც ასწავლის ჭეშმარიტებას, თუ არ ახორციელებს იმას, რასაც ასწავლის,<sup>7</sup> მაშინ ის ცრუ წინასწარმეტყველია. 11. თითოეული წინასწარმეტყველი, ჭეშმარიტ წინასწარმეტყველად აღიარებული, რომელიც ეკლესიის მსოფლიო საიდუმლოების თანახმად იღვნის, მაგრამ არ ასწავლის იმის კეთებას, რასაც თვითონ იქმს, არ უნდა განისაჯოს თქვენ მიერ, ვინაიდან მისი განსჯა უფლის ხელთაა, ვინაიდან ასე იქცეოდნენ ძველი წინასწარმეტყველებიც. 12. თუკი ვინმე სულიერი შთაგონებით<sup>8</sup> იტყვის: „მომეცი ვერცხლი ან რაიმე სხვა“, არ მოუსმინოთ მას. მაგრამ თუ ის სხვებისათვის, გაჭირებულ-თათვის ითხოვს მიცემას, დაე, არავინ განსაჯოს იგი.

ამასთან დაკავშირებით შდრ. ჰერმასის მწყემსი, 2.11.

1. ეს პოემათ, სიტყვასიტყვით, „სულის მიერ“. შდრ. 11.8, 9, 12. იხ. ასევე, წმ. ეგნატი ანტიოქიელი, ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ, 7.1-2.

2. ეს პოემათ.

3. შდრ. ჰერმასის მწყემსი, 2.11.7-16.

4. ეს პოემათ.

5. იგულისხმება უპოვართათვის გამართული ტრაპეზი.

6. ანუ, ტრაპეზისგან.

7. შდრ. ეგნატი ანტიოქიელი, ეპისტოლე ეფესელთა მიმართ, 15.1; იხ. ასევე, ნეტარი თეოდორიტე კვირელი, ელინურ სენთა მკურნალობა, თ. 12, რომელშიც გადმოცემულია ელინ ფილოსოფოსთა შეხედულებანი და მითითებულია ისიც, რომ ისინი ერთს ასწავლიდნენ და სულ სხვაგვარად იქცეოდნენ.

8. ეს პოემათ.

## თავი XII

### სტუმარ-მასპინძლობა

1. ყველა, მოსული უფლის სახელით, შეწყნარებული უნდა იქნას (შდრ. მათე, 21.9; მარკ. 11.9; ლუკა, 19.38). გამოსცა-დეთ და გაეცანით მას მოგვიანებით, რადგან თქვენ გაქვთ კე-თილგონიერება, რომ გაარჩიოთ მარჯვენა და მარცხენა (შდრ. იონა, 4.11; მათე, 25.33). 2. თუკი მოსული მგზავრია, დაეხ-მარეთ მას, როგორც შესძლებთ, მაგრამ ის არ უნდა დარჩეს თქვენთან ორ ან სამ დღეზე მეტხანს, და ისიც, თუკი ამ-ის აუცილებლობა იქნება.<sup>1</sup> 3. თუკი მას თქვენთან დასახლება სურს, თუ ის ხელოსანია, იშრომოს და ჭამოს. 4. ხოლო თუკი არა აქვს ხელობა, თქვენი შეხედულებისამებრ გადაწყვიტეთ, მაგრამ ისე კი, რომ ქრისტიანი<sup>2</sup> არ ცხოვრობდეს თქვენს შო-რის უსაქმურად<sup>3</sup> (2თეს. 3.10). 5. თუკი მას არ სურს ასე მო-იქცეს, ის ქრისტეს გამყიდველია.<sup>4</sup> შორს დაიჭირეთ თავი ას-ეთებისაგან!

## თავი XIII

### წინასწარმეტყველთა და მოძღვართათვის პირველნაყოფთა გადაცემა

1. ყოველი ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი, რომელსაც თქვენთან დასახლება სწალია, საკუთარი საზრდოს ღირსია (შა-თე, 10.10). 2. ამგვარადვე ჭეშმარიტი მოძღვარიც. იგიც, რო-გორც მშრომელი, თავისი საზრდოს ღირსია. 3. ამიტომ, საწნა-ხელისა და კალოს, ასევე ნახირისა და ცხვრებისაგან მიღებული ნაწარმის ყოველი პირველნაყოფი უნდა აიღო და მიართვა წი-ნასწარმეტყველებს, რადგან ისინი არიან თქვენი მღვდელმთავ-

1. შდრ. 11.4-5.

2. დიდაქტეს ეთიობურ ვერსიაში ეს სიტყვა არ დასტურდება, რის გამოც მკვლევარები სადავოდ მიიჩნევენ, იყო თუ არა იგი მოცემული დიდაქტეს თავდაპირველ ვარიანტში (*La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 189, შენ. 7). აქვე შევნიშნავთ, რომ ტერმინი „ქრისტიანი“ პირველად ანტიოქი-აში იქნა გამოყენებული (საქმე, 11.26).

3. შდრ. ბარნაბას ეპისტოლე, 10.4.

4. ხრისტემπορის.

რები.<sup>1</sup> 4. ხოლო თუ არ გყავთ წინასწარმეტყველი, გადაეცით იგი ლარიბებს. 5. თუკი პურს<sup>2</sup> მოიწევ, აიღე პირველნაყოფი და მცნების თანახმად გაეცი იგი. 6. ასევე, როდესაც ღვინის ან ზეთის ქვევრს გახსნი, აიღე პირველნაყოფი და მიართვი წინასწარმეტყველებს. 7. ვერცხლის, ტანსაცმლის და ყოველგვარი ქონებისაგან აიღე პირველნაყოფი, რამდენიც გინდა,<sup>3</sup> და გაეცი მცნების თანახმად.

## თავი XIV ქრისტიანთა შეკრება და მსხვერპლშეწირვა

1. უფლის დღეს<sup>4</sup> შეკრებილებმა გატეხეთ პური და აღავლინეთ სამადლობელი მას შემდეგ, რაც აღიარებთ თქვენს გარდაცდომებს (იაკ. 5.16), რათა წმინდა იყოს თქვენი შესაწირი.<sup>5</sup> 2. ხოლო ყოველი, ვისაც უსიამოვნება აქვს თავის მეგობართან, ნუ შემოგიერთდებათ მანამ, სანამ არ შერიგდებიან, რათა თქვენი მსხვერპლი არ გაუწმინდურდეს<sup>6</sup> (მათე, 5.23-24; შდრ. მარკ. 11.25). 3. ვინაიდან ამის შესახებ თქვა უფალმა: „ყოველ ადგილას და უამს წმინდა მსხვერპლი შემომწირეთ, რადგან დიდი მეფე ვარ, – ამბობს უფალი, – და საკვირველია სახელი ჩემი წარმართთა შორის“ (მალ. 1.11,14).

1. ის ሰρχιερეის. შდრ. დიდაქე, 15.2.

2. აქ გამოყენებულია სიტა, რომელიც ნეოლიტიზმად ითვლება (*La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 191, შენ. 6). იგი მხოლოდ ორჯერ დასტურდება ახალ აღთქმაში (საქმე, 7.12, შდრ. ასევე, საქმე, 27.71), ძველ აღთქმაში კი, ჩვეულებრივ, გამოყენებულია პრთის (იხ. მათე, 6.11).

3. შდრ. წმ. იუსტინე მარტინი, პირველი აპოლოგია, 67.6.

4. ანუ კვირას.

5. შდრ. 4.14.

6. შდრ. 4.14.

## თავი XV

**ეპისკოპოსები და დიაკონები;  
ქრისტიანული მხილება**

1. აირჩიეთ<sup>1</sup> თქვენთვის ისეთი ეპისკოპოსები და დიაკონები, რომელნიც ლირსნი არიან უფლისა, მშვიდი და არავერცხლის-მოყვარე ადამიანები, გულწრფელები და გამოცდილები (1ტიმ. 3.1-13), რადგან ისინი თქვენთვის აღასრულებენ<sup>2</sup> წინასწარ-მეტყველთა და მოძღვართა ღვთისმსახურებას.<sup>3</sup> 2. ნუ უგულ-ებელყოფთ მათ, არამედ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა თანაბრად უნდა მიაგოთ პატივი. 3. ამხილეთ ერთმანეთი,<sup>4</sup> მაგ-რამ არა რისხვით, არამედ მშვიდობით, როგორც სახარებაში გაქვთ დაწერილი (მათე, 18.15), და ყველა იმას, ვინც სხვას შეურაცხმყოფელად ექცევა, ნურავინ დაელაპარაკება, ნურა-ფერს მოისმენს იგი თქვენგან, სანამ არ მოინანებს. 4. თქვენი ლოცვები, მოწყალებანი და ყოველგვარი საქმე აკეთეთ ისე, როგორც გინერიათ სახარებაში უფლისა ჩვენისა (მათე, 6.2-18; ტობ. 12.8).

## თავი XVI

**მღვიძარება და უფლის მოსვლა**

1. იფხიზლეთ თქვენი ცხონებისათვის (მათე, 25.13); ნუ ჩაქ-რებიან თქვენი ლამპრები, და თქვენი წელები ნუ იქნება შეხ-სნილი, არამედ იყავით მზად, რადგან არ იცით უამი, როდის მოვა უფალი ჩვენი (მათე, 25.1-13,42,44; ლუკა, 12.35-40). 2. შეიკრიბეთ ერთად ხშირ-ხშირად, გამოიძიეთ, რისი მიღება სჭირდება თქვენს სულებს. ვინაიდან, ვერაფერს გარგებთ მთე-ლი დრო თქვენი რწმენისა, თუკი არ იქნებით სრულყოფილნი

---

1. აქ გამოყენებულ ზმნას, ხეιრითიერ, ჯერ კიდევ არ აქვს ქრისტია-ნული ხელდასხმის (ქიროტონიის) მნიშვნელობა (*La Doctrine des douze Apôtres*, 1978, გვ. 193, შენ. 9). შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელის ეპისტო-ლები ფილადელფიელთა მიმართ (10.1), სბორნელთა მიმართ (11.2), პო-ლიკარპეს მიმართ (7.2).

2. λειτουργούσι.  
3. τὴν λειτουργίαν.  
4. შდრ. 2.7, 4.3.

ბოლო უამს.<sup>1</sup> 3. ვინაიდან უკანასკნელ დღეებში გამრავლდებიან ცრუ წინასწარმეტყველნი და წარმწყმედელნი, და იქცევიან ცხვრები მგლებად, და სიყვარული სიძულვილად გადაიქცევა. 4. რადგან, როდესაც გაიზრდება უსჯულოება, ადამიანები მოიძულებენ ერთმანეთს (მათე, 24.11-12,24) და დაუწყებენ დევნას და ლალატს, მაშინ გამოჩნდება მსოფლიოსმაცდური<sup>2</sup> (შდრ. გამოცხ. 12.9), როგორც ძე ღვთისა (2თეს. 2.4; 2იოანე, 1.7), და აღასრულებს ნიშნებსა და სასანულებს (შდრ. მათე, 24.10,24; ლუკა, 21.12; 2იოანე, 1.7), და მას დედამინა ხელთ გადაეცემა, და ისეთ უსჯულოებებს<sup>3</sup> აღასრულებს, როგორიც დასაბამიდან არ ყოფილა. 5. მაშინ ქმნილი კაცობრიობა<sup>4</sup> შევა გამოცდის ცეცხლში და მრავალნი შეცდებიან და წარწყმდებიან, ხოლო თავის რწმენაში განმტკიცებულნი გადარჩებიან თავად წყევლი-საგანა<sup>5</sup> (მათე, 24.13; 10.22; ზაქ. 13.8; გალ. 3.13; 1კორ. 12.3). 6. მაშინ ჭეშმარიტების ნიშნებიც გაცხადდებიან (მათე, 24.30): თავდაპირველად, ნიშანი ზეცის განლებისა,<sup>6</sup> შემდეგ – ნიშა-

1. შდრ. ბარნაბას ეპისტოლე, 4.9; წმ. ეგნატი ანტიოქიელი, ეპისტოლე ეფესელთა მიმართ, 14.1.

2. იგულისხმება ანტიქრისტე. ბერძნულ ტექსტებს შორის ეს ერთადერთი მონაკვეთია, რომელშიც ო კოსმიტლაურ დასტურდება (Lampe, 1961, გვ. 770). დიდაქეს თარგმნისას ე. ჭელიძემ იგი გადმოიღო, როგორც „ქვეყნისმაცდური“ (ნიკოლოზ ახალციხელი ეპისკოპოსი, 1998, გვ. 69). მსგავსი შინაარსის მონაკვეთი, ო პლავრი თუ ი'კოსმეიუ ბლηუ, გვხვდება ახალ აღთქმაში (გამოცხ. 12.9), და შემდეგნაირად არის თარგმნილი: „რომელი აცთუნებს ყოველსა სოფელსა“ (წმ. გიორგი მთამინდელი), „მთელი საწუთოს მაცდური“ (ბაჩანა ბრეგვაძე), „მთელი სამყაროს მაცდური“ (ბიბლია. თბილისი: ბალიტრა L, 2013), „მსოფლიოს მაცდუნებელი“ (ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იქსო ქრისტესი და ფსალმუნი. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, 1982).

3. პტერია.

4. სიტყვასიტყვით: ადამიანთა ქმნილება, სამყარო ადამიანებისა (წ კΤ-სა თან არ მოიხსენია). წ კΤ-სა სამყაროს მნიშვნელობით იხ. წმ. კლიმენტი რომაელის პირველ ეპისტოლეში (34.6), წმ. პოლიკარპე სმირნელის მარტ-ვილობაში (14.1), პერმასის მწყემსში (3.9.14.5, 3.9.23.4).

5. შდრ. ბარნაბას ეპისტოლე, 7.9; წმ. იუსტინე მარტვილი, დიალოგი, 47.4, 95.1.

6. ეკპეტასეა (ეკპეტასი). სიტყვასიტყვით: ზეცის გაფართოების, განვრცობის, გაშლის, ნაპრალისა. შდრ. ლაითფუტის თარგმანი: „a sign of a rift in the heaven“ (გვ. 235). ედ. ჭელიძესთან იგი თარგმნილა, როგორც „ნიშანი ცაში გავრცობისა“, რაც შემდეგნაირად არის განმარტებული:

ნი საყვირის ხმისა (მათე, 24.30-31), მესამე ნიშანი კი აღდგო-  
მა მკვდართა. 7. მაგრამ არა ყველასი (ერთად) (მდრ. გამოცხ. 20.5), არამედ, როგორც ნათქვამია: „მოვა უფალი და ყველა  
წმინდანი მასთან ერთად“ (ზაქ. 14.5). 8. მაშინ იხილავს სამყა-  
რო უფალს, გარდამომავალს ღრუბელთა ზედა ზეცისათა (მა-  
თე, 24.30).<sup>1</sup>

---

„მიიჩნევენ, რომ ‘ცაში გავრცობა’ მოასწავებს ჯვარს, რომლის განვე-  
ნილი მკლავები შემოსწერს მთელ სამყაროს“ (იხ. გვ. 70, შენ. 8). იხ.  
ასევე, J.Daniélou. *Théologie du Judéo-christianisme*. Tournai, 1958, გვ. 292;  
*La Doctrine des douze Apôtres*, გვ. 198, შენ. 1.

1. დიდაქტის ტექსტი ბოლომდე არ არის მოღწეული და იერუსალიმურ  
ნუსხაში იგი ამ მონაკვეთზე წყდება, თუმცა, მოციქულთა განჩინებებში  
(7.32.2,4) დაცული დიდაქტის ამ მონაკვეთის პარაფრაზი იძლევა წარმოდ-  
გენას, რის შესახებ იყო გადმოცემული ნაშრომის დასასრულოს: „და მაშინ  
გამოჩნდება მსოფლიოს მაცდუნებელი (თოთे ფაνήσεται ო კისμიოპლანი),  
ჭეშმარიტების მტერი, სიცრუის წინამდლოლი... და მაშინ მოვა უფალი და  
ყველა წმინდანი მასთან ერთად მიწისძვრისას, ღრუბელთა ზემოთ, თავისი  
ძალის ანგელოზებთან ერთად (და დაჯდება) სამუშაო ტახტზე, მსოფ-  
ლიოს მაცდუნებელი ეშმაკის (თის კისმიოპლანი მიატიოს) განსასჯელად  
და ყველასათვის მისაგებად მათ საქმეთაებრ. მაშინ წავლენ უკეთურნი  
საუკუნო სატანჯველისაკენ, მართალი კი საუკუნო სიცოცხლისაკენ  
გაემართებიან და დაიმკვიდრებენ იმას, რასაც ოვალი ვერ ხედავს და რაც  
ყურს არ ესმის და ადამიანს გულში არ გაუვლია, რაც მოუმზადა ღმერთმა  
მათ, ვისაც უყვარს იგი, და გაიხარებენ სასუფეველში ღვთისა, რომელიც  
არის იხსო ქრისტეში“ (ბერძნული ტექსტისათვის იხ. *Didascalia et Con-*  
*stitutiones Apostolorum*. Ed. F.X. Funk. Vol. 1. Paderbornae, 1905, გვ. 422).